

მთარგმნელის წინასიტყვაობა



Oikonomia - ანტიკური ხანის ბერძნებისათვის შიდა, სახლის, საკარმიდამო მეურნეობას ნიშნავდა. შემდგომში, ეს ცნება, ორი მნიშვნელობით გავრცელდა, რამაც ქართულ ენაშიც ჰპოვა ასახვა. ცნებით *ეკონომიკა* ჩვენ ავლნიშნავთ ყველაფერს, რაც ჩვენს მეურნეობას ეკუთვნის: წარმოებას, ტრანსპორტს, ფულად სისტემას და ა.შ. ეკონომიკა სხვა ორ შემადგენელ ელემენტთან, - სახელმწიფოსა და კულტურასთან ერთად საზოგადოებას შეადგენს. ვერ მოვძებნით საზოგადოების ვერცერთ ელემენტს, ვერცერთ ნაწილს, ამ სამიდან ერთ-ერთის, ან ერთდროულად ორის ან სამივეს ნაწილი არ იყოს. ეს დაყოფა, რასაკვირველია პირობითია და მხოლოდ

ანალიზისათვის აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს. თვით საზოგადოება, იმდენად მრავალწახნაგოვანი სხეულია, რომ ძნელია მისი ერთ, ან თუნდაც, მხოლოდ სამ ელემენტზე დაყვანა.

მეორე მნიშვნელობა, რომელიც ძველი ბერძნების მიერ შემოღებული ტერმინიდან წარმოდგება, ჩვენებურად მომჭირნეობას, სახსრებისა და რესურსების ოპტიმალურ, გაუფლანგავად ხარჯვას ნიშნავს და მას სიტყვა *ეკონომიით* ავლნიშნავთ.

წიგნში, რომელსაც ამჟამად ვთავაზობთ ქართველ ეკონომისტებს, პოლიტიკოსებსა და დაინტერესებულ მკითხველს, უმთავრესად, ეკონომიკაზე არის საუბარი, თუმცადა ყოველი ეკონომიკის წარმატება, ან წარუმატებლობა, საბოლოო ჯამში, ეკონომიაზე, არსებული რესურსების მომჭირნე, გაფრთხილებით ხარჯვაზე დაიყვანება. რასაკვირველია, რესურსთა შორის უპირველესი ადამიანთა უნარია, აიღონ ბუნებისაგან ფაქტობრივად უფასოდ მინიჭებული სიმდიდრე, გადამუშავონ იგი და შედეგები სამართლიანად გაანაწილონ. ბედნიერია ის საზოგადოება, რომელიც შეიცნობს, თუ რა რესურსები აქვს მას და ამ რესურსებს თავის წევრთა მაქსიმალური რაოდენობის სასარგებლოდ ხარჯავს. ამისათვის საზოგადოებამ საკუთარი მართვის იმგვარი სისტემა უნდა შექმნას, რომელიც მასში არსებულ ურთიერთობებს ოპტიმალურად არეგულირებს და ყველა წევრს მისცემს საშუალებას, გაისარჯოს და ამ გარჯით საკუთარ თავსა და იგივე საზოგადოებას მისცეს სარგებელი. ამ მართვის სისტემას სახელმწიფო წარმოადგენს.

ადამიანები ყოველთვის ცდილობდნენ გამოეგონებინათ და განეხორციელებინათ იმგვარი სახელმწიფოებრივი მოწყობა, რომელშიც ადამიანთა რაც შეიძლება

მეტი რიცხვი იქნებოდა კმაყოფილი. მეუფეთა, თვით ტირანთა ძალისხმევაც კი მიმართული იყო საკუთარი ქვეშევრდომებისათვის იმგვარი პირობების შექმნაზე, რომ ისინი კმაყოფილი ყოფილიყვნენ და არ ეფიქრათ ხელისუფლების შეცვლაზე. უმთავრეს შემთხვევებში, ეს ჩანაფიქრი ვერ ხორციელდებოდა და ძირითადად იმის გამო, რომ ტირანები და მეუფენი ვერ ახერხებდნენ ეკონომიკის იმგვარად მართვას, რომ დაეკმაყოფილებინათ ქვეშევრდომთა მაქსიმალური რაოდენობა, თუნდაც უმრავლესობა. ამიტომაც არის კაცობრიობის ისტორია სისხლიანი ჯანყების, დაპყრობათა, ძალადობათა და ჩაგვრის ქრონიკა. როდესაც საკუთარ მიწას ვერ პატრონობდნენ, ძლიერნი ამა ქვეყნისანი სხვა ქვეყანათა დალაშქრად აღიძვრდნენ, რათა სარჩო და საბადებელი შეეძინათ თავიანთთვის და თავისი ქვეშევრდომებისათვის.

ამ ომებსა და ტანჯვა-წამებაში ისტორიამ უამრავ თეორიას, მოდელსა და იდეოლოგიას შეასხა ხორცი. ექსპერიმენტები მრავლად იყო და მათი უმეტესობა წარუმატებლად დამთავრდა. საზოგადოებას ჯერაც ვერ უპოვია იდეალური წყობა. მას ჯერაც ვერ მოუხერხებია იმგვარი სახელმწიფო სტრუქტურის დამკვიდრება, რომელიც ადამიანურ იდეალს მიუახლოვდებოდა. საზოგადოებრივი წყობა, რომელიც დღევანდელი დასავლეთის ქვეყნებში არის გავრცელებული არ არის ხნოვანი, იგი მხოლოდ ორიოდ ასეულ წელს თუ ითვლის. მხოლოდ უკანასკნელი ორი ასეული წლის მანძილზე შეძლეს ჰუმანიზმის იდეალებმა კაცობრიობის ცხოვრებაში მეტ-ნაკლებად დამკვიდრება.¹¹

ეს არა მარტო სახელმწიფო წყობაზე ვრცელდება, არამედ ეკონომიკასაც ეხება. ის, რასაც ჩვენ საბაზრო ეკონომიკას ვუწოდებთ მე-19 საუკუნის დასავლეთ ევროპაში წარმოიქმნა და შემდეგ სხვა ქვეყნებშიც, უპირველესად კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელდა. მინდა ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი კარლ პოლანი დავიმოწმო. აი, რას წერდა იგი გასული საუკუნის ორმოციან წლებში: «...საბაზრო ეკონომიკა გარკვეული სტრუქტურების მიერ უზრუნველყოფილი სისტემა იყო, რომელიც, და ამას ჩვენ ხშირად ვივიწყებთ, არასოდეს არსებულა უახლეს დრომდე და მას შემდეგაც მხოლოდ ნაწილობრივ შემორჩა»¹² პოლანი გულისხმობს, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისათვის საბაზრო ეკონომიკა არცერთ ქვეყანაში არ არსებულა თავისი წმინდა სახით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსაზრება გარკვეულ გაუგებრობას იწვევს, იგი მაინც შეესაბამება სინამდვილეს. კაცობრიობის ისტორიის ერთადერთი პერიოდი, როდესაც წარმოება, ვაჭრობა, გაცვლა-გამოცვლა ჰემმარიტად თავისუფალი იყო სახელმწიფო ძალადობისაგან, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარია. მეოცე საუკუნეში სახელმწიფოთა ჩარევამ ეკონომიკაში უზარმაზარ ზომებს მიაღწია. არცერთი ქვეყანა არ ფუნქციონირებს იმდაგვარად, რომ ეკონომიკას არ დატყობოდა სახელმწიფოს დამთრგუნავი ხელი.

ეკონომიკური ლიბერალიზმი სწორედ ის პოლიტიკური მიმდინარეობაა, რომელიც ცდილობს შეამციროს სახელმწიფოს ზემოქმედება ეკონომიკაზე აუცილებელ მინიმუმამდე, წინ აღუდგეს როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ძალაუფლების გადამეტებულ კონცენტრაციას და ხელი შეუწყოს საზოგადოების წევრთა საერთო კეთილდღეობის ამაღლებას. ლიბერალიზმი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო გარდაუვალი ბოროტებაა, მაგრამ ეს ბოროტება

სრულ ქაოსსა და ანარქიას მაინც ჯობნის. ლიბერალური აზრი კონკრეტულად აყალიბებს იმ ამოცანებს და იმ სფეროებს, სადაც სახელმწიფომ საკუთარი სიტყვა უნდა თქვას.

მოკლედ შევეხოთ ამ სფეროებს. უპირველესად ყოვლისა, სახელმწიფოს ამოცანა არის საზოგადოების და მის წევრთა თავისუფლების დაცვა შიდა და გარე მტერისაგან. იგი ამისათვის ქმნის ჯარს, აყალიბებს პოლიციას, სამრთალდამცავ და ადმინისტრაციულ ინსტანციებს. საკითხთა ამ წრეს, არა მარტო მომხდურისაგან და ავანაჰისაგან დაცვა, არამედ ბუნების დაცვა და კატასტროფებისაგან დაცვაც განეკუთვნება. სახელმწიფოს მეორე ამოცანა, იმგვარი სისტემის შექმნაში მდგომარეობს, რომელიც გზას გაუხსნის ინდივიდს თავისუფალი საქმიანობისათვის, იქნება ეს ეკონომიკისა, თუ კულტურის სფეროში. აქ სახელმწიფო «თამაშის წესებს» აყალიბებს და თავისი პირველი ფუნქციიდან გამომდინარე, ცდილობს მათ უზრუნველყოფას. თუკი ეს წესები ადამიანთა უმრავლესობისათვის არასახარბიელო, ან მიუღებელია, ასეთი სახელმწიფო ვერ იქნება ლიბერალური თვალსაზრისით გამართლებული. სახელმწიფოს კიდევ ერთი ამოცანა, საზოგადოების იმ წევრებზე ზრუნვა არის, რომელთაც ამა თუ იმ მიზეზით, არ შეუძლიათ, საკუთარი შრომის საზღაურით საკუთარი არსებობის უზრუნველყოფა. ამისათვის აქვს სახელმწიფოს დაბეგვრისა და გადასახადის ბერკეტები: ამოგებული თანხებით იგი ზრუნავს მოხუცებზე, ბავშვებზე, დავრდომილებზე, ავადმყოფებზე. ამ თანხების ერთ და არც თუ მცირე ნაწილს, თვით სახელმწიფოს ადმინისტრაციული საქმიანობა შთანთქმავს. ამ ხარჯების გაზრდის ტენდენცია ყველა საზოგადოებაში არსებობს. თუ საზოგადოება წინ არ აღუდგა, სახელმწიფო იმდენად გაიბერება და გაქსუვდება, რომ მას საკუთარი ხარჯებისათვის არანაირი შემოსავალი არ ეყოფა. ეს გასაგებიც არის, რადგანაც სახელმწიფო, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი ორგანიზმი, ყოველთვის ეცდება გაიზარდოს, კარგად იყოს, განებივრდეს.

სახელმწიფოს აუცილებლობა და მისი როლი სწორედ ამ ამოცანებიდან გამომდინარეობს. როცა იგი ამ ფუნქციებს ვერ ასრულებს და დასმულ ამოცანებს ვერ წყვეტს, მის არსებობას აზრი ეკარგება, იგი აბსურდულია.^[3] ლიბერალი მიიჩნევს, რომ ყოველი ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელი და სასურველია ისე, რომ ამით ადამიანთა თავისუფლება მხოლოდ მინიმალურად შეიზღუდოს და არ გახდეს კონცენტრირებული ძალაუფლების წარმომადგენელთა საპამპულაო, ეკონომიკური ექნება ეს ძალაუფლება, პოლიტიკური, თუ სხვა ხასიათისა.

სწორედ ამ საკითხთა წრეს ეხება მილტონ ფრიდმანის წინამდებარე წიგნი, რომელიც 1962 წლის პირველი გამოცემიდან გასული დროის განმავლობაში ლიბერალიზმის მანიფესტად გადიქცა, ხოლო მისი ავტორი კი ამ იდეური მიმდინარეობის მებაირახტრედ.



მილტონ ფრიდმანი დაიბადა 1912 წელს ნიუ იორკში ლარიბი უკრაინელი ემიგრანტების ოჯახში. მიუხედავად გაჭირვებისა, მან შეძლო რატგერსის უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხით და მოგვიანებით ჩიკაგოს უნივერსიტეტის მაგისტრის წოდებით დამთავრება. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში და თანამშრომლობდა აშშ ეკონომიკური კვლევის ეროვნულ ბიუროსთან. 1946 წელს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი გახდა, ხოლო 1976 წელს ნობელის პრემია მიიღო ეკონომიკის დარგში. პრემიის დასაბუთებაში ნათქვამია: «...მისი დამსახურებისათვის მოხმარების ანალიზის, ფულის მიმოქცევის ისტორიის და მონეტარული თეორიის და მის მიერ სტაბილიზირების პოლიტიკის კომპლექსურობის დემონსტრირებისათვის.» ეს ჩამონათვალი საკმაოდ ამომწურავად მიგვითითებს მილტონ ფრიდმანის დამსახურებაზე. იგი «ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის» ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია და მის უდიდეს დამსახურებას მონეტარისტული თეორიის შექმნა წარმოადგენს. მისი რჩევითა და მონდომებით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა, - მაგალითისათვის მშვიდობიანობისას სავალდებულო სამხედრო გაწვევის გაუქმებასა და ფასიანი არმიის შექმნას ვახსენებთ, თუმცაღა სრულად არასოდეს მიუღია რეფორმათა ფრიდმანისეული ჩამონათვალი. ფრიდმანისა და მისი საკონსულტაციო გუნდის მიერ ბევრ სხვა ქვეყანაშიაც ჩატარდა რეფორმები. ამის მაგალითად პინოჩეტის მმართველობის პერიოდის ჩილი შეიძლება იქნას დასახელებული. მილტონ ფრიდმანი კაპიტალიზმის თვალსაჩინო პროპაგანდისტი არის. მისი ნაშრომები ეძღვნება ეკონომიკის საკითხებს და ნათლად გვიჩვენებს, რომ საზოგადოების თავისუფალ მოწყობას ალტერნატივა არ გააჩნია. ფრიდმანს ხშირად უპირისპირებენ კეინსსა და კეინსიანიზმს, რომელიც სახელმწიფოს უფრო მეტ როლს ანიჭებს ეკონომიკის რეგულირებაში, ვიდრე ლიბერალი ეკონომისტები.

მის ყველაზე ცნობილ ნაშრომებს, გარდა «კაპიტალიზმი და თავისუფლები» განეკუთვნება ასევე «არჩევანის თავისუფლება» (1980) და «სტატუს კვოს ტირანია» (1984). მილტონ ფრიდმანს მიღებული აქვს უამრავი ჯილდო და პრემია, იგი არის რამოდენიმე მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მრავალი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ეკონომიკურ და ფილოსოფიურ საზოგადოებათა წევრი. იგი მეღვინესთან, როუზთან ერთად ცხოვრობს აშშ-ში და დღესაც აქტიურ მონაწილეობას იღებს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებში. იგი 2002 წლის ივლისში 90 წლისა გახდა.



მილტონ ფრიდმანისეული ლიბერალიზმის დედააზრი, - ამას მკითხველიც დაინახავს, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ცდომილია, იგი არ არის სრულყოფილი. მთავრობებს ადამიანები შეადგენენ და ამიტომაც, ამ ადამიანებს

არ უნდა ჩავუვლოთ ხელში იმდენი ძალაუფლება, რომ მათ, ნებისით, თუ უნებლიედ, სხვა ადამიანებისათვის ზიანის მიყენება შეძლონ. მთავრობის როლი საზოგადოებაში მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს, ხოლო მისი საქმიანობა მკაცრად გაკონტროლდეს. უნდა შევეცადოთ, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა უმეტესი წილი თავისუფალი გაცვლა-გამოცვლითა და საკონტრაქტო საფუძველზე მიმდინარეობდეს. ფრიდმანს სწამს ბაზრისა და მიიჩნევს, რომ ბაზარი, ადრე, თუ გვიან, ყველა ურთიერთობას მოუძებნის ადგილს და დაარეგულირებს მას. იგი მიიჩნევს, რომ სწორედ თავისუფალი და ნებაყოფლობითი გაცვლა-გამოცვლა არის ის ერთადერთი მექანიზმი, რომელზე დაყრდნობითაც მიიღწევა სამართლიანი, კეთილდღიანი და მოწესრიგებული საზოგადოება.

ეს მოსაზრება არ არის კრიტიკისაგან აბსოლუტურად დაცული და მას უამრავი ოპონენტი ჰყავს. საწინააღმდეგო მოსაზრება, რომელიც არა ვინმე დიქტატორის, ან სოციალისტის მხრიდან მოდის, არამედ ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი კაპიტალისტის კალამს ეკუთვნის, გულისხმობს, რომ სწორედ იმის გამო, რომ ადამიანი ცდომილია და ეკონომიკაში ადამიანები მოქმედებენ, რომელთა ეგოისტური ინტერესიც, მათ, საკუთარი კეთილდღეობის ზრდას კარნახობს, ეკონომიკა, სახელმწიფოს მხრივ, ყოველთვის კონტროლის ქვეშ უნდა იყოს. ეს თეზისი უფრო დღევანდელ საერთაშორისო ეკონომიკას ეხება, როდესაც ცალკეულ ადამიანთა ხელში იმხელა ძალაუფლება გროვდება, რომ მათ ქვეყნებისა და მილიონობით ადამიანის ბედ-იღბალის გადაწყვეტა ძალუძთ და ეს გადაწყვეტა ამ ადამიანებისათვის ყოველთვის დადებითი არ არის. ეს მოსაზრება მეოცე საუკუნის დამლევს ჩამოაყალიბა ცნობილმა საბირჟო სპეკულანტმა და ქველმოქმედმა ჯორჯ სოროსმა (თუ შორაშმა, თუკი მის სახელს უნგრული, მისი მშობლიური ტრანსკრიპციით დავწერთ, სადაც ლათინური S მან-ად იკითხება). სოროსი ფრიდმანსაც აკრიტიკებს და მიიჩნევს, რომ ფრიდმანის მოდელი არ გამოდგება ჰუმანური საზოგადოების ასაგებად, სადაც ადამიანები მართლაც თავისუფალნი იქნებოდნენ არჩევანში.⁴¹ თანამედროვე ეკონომიკაში გამეფებული ზეეროვნული ეკონომიკური გაერთიანებები მართლაც უზარმაზარი ძალაუფლების კონცენტრირებას ახერხებენ საკუთარ ხელში და სახიფათონი ხდებიან. მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანს, ბილ გეიტსს ხელთ უპყრია ათობით მილიარდი დოლარი, რაც მას, პრინციპში, შეუზღუდავ ძალაუფლებას ანიჭებს. ღმერთმა დაიფაროს მსოფლიო იმისაგან, რომ ერთ დღეს, გეიტსი, ბინ ლადენის მსგავსად რელიგიურ ფანატიკოსად გადაიქცეს, ან უბრალოდ გაგიჟდეს. ამგვარი მოვლენის შედეგს არავინ უწყის. ამიტომაც ცდილობს დასავლეთის საზოგადოება, ამ მაღალ ღონეზეც კონკურენციისა და შეჯიბრის შენარჩუნებას. ამასვე ემსახურება ანტიმონოპოლისტური კანონმდებლობა, რომელიც ეკონომიკის ცალკეულ დარგში სადავეების ერთ ხელში მოყრას ეწინააღმდეგება. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს დღეს მაინც კაპიტალი მართავს და უფრო გავლენიანად და ძლევამოსილად, ვიდრე ამას კარლ მარქსის დროს ჰქონდა ადგილი.

ამ ფონზე შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ ლიბერალურ მოდელს ყავლი გაუვიდა, მან პრინციპში არ გაამართლა და ადამიანთა საზოგადოებისთვის, სულ ცოტა, დღევანდელისათვისა მაინც, არ გამოდგება. ეს, რასაკვირველია, შორს

არის ჭეშმარიტებისაგან. ბოლო საუკუნის მსოფლიოში არსად არსებულა საზოგადოება, მთლიანად ლიბერალურ პრინციპებზე რომ ყოფილიყო დაფუძნებული. მილტონ ფრიდმანის საზოგადოებრივი მოდელი ჯერაც განუხორციელებელია. ისიც უნდა ითქვას, რომ დასავლეთის საზოგადოებათა შორის ფრიდმანის მოდელთან ყველაზე უფრო ახლოს, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ამერიკის შეერთებული შტატები მივიდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ამერიკელთათვის თავისუფლება უმაღლეს ფასეულობად ითვლება. მართალია, ამერიკის შეერთებულ შტატებს ყოველთვის ჰქონდათ ძლიერი სახელმწიფო კონტროლი, მაგრამ ეს ვერ შეედრება დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ წყობებს, რომელთა სპექტრიც «შემოპარებული» სოციალიზმით იწყება გერმანიაში და შეერთებულ შტატების მოდელთან ყველაზე მიახლოებულით თავდება დიდ ბრიტანეთში, სხვა რეჟიმებზე რომ არაფერი ვთქვათ. ფრიდმანის საზოგადოებრივი მოწყობის ლიბერალური მოდელი, სრულად, არსად და არასოდეს განხორციელებულა და სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ ლიბერალიზმის ვითომდა მარცხის მიზეზი. თვით ლიბერალიზმის იდეა არსებობს, თუმცაღა მას ბევრი მტერი ჰყავს, ერთის მხრივ მძლავრი კაპიტალისტური ფინანსური და საწარმოო დაჯგუფებების სახით, რადგანაც ფრიდმანის მოდელი ერთპიროვნულად ეწინააღმდეგება არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი, არამედ ეკონომიკური ძალაუფლების შეუზღუდავ კონცენტრაციას, და მეორე მხრივ, სოციალისტთა და სხვა მემარცხენეთა მხრივ, რომლებიც ღია კონკურენციაში დამარცხებულთა ინტერესებს წარმოადგენენ.

მილტონ ფრიდმანის ნაშრომის კიდევ ერთი ნიშანდობლივი მხარე ის არის, რომ იგი ჩვენში გავრცელებულ მრავალ ილუზიას განაქარვებს. ისტორიული პერიოდი, რომელსაც ავტორი ეხება, უმეტესწილად მეოცე საუკუნის პირველ ნახევარს შეეხება, განსაკუთრებით 20-50-იან წლებს. ეს ჩვენში სტალინის ეპოქაა, როდესაც სახელმწიფო უხეშად ერეოდა ადამიანის ცხოვრების ყველა დეტალში, იქნებოდა ეს საპასპორტო რეჟიმი, კერძო საკუთრების დათრგუნვა, თუ ოქროს კერძო ფლობის და ვალუტით ვაჭრობის აკრძალვა. ჩვენ, ინფორმაციის უკმარისობის გამო, მივიჩნევდით, რომ ოკეანის გადაღმა, ამერიკაში, ყველაფერი იდეალურად იყო, რადგანაც აღარ გვჯეროდა «პრავდისა» და «კომუნისტის» პროპაგანდისტული ინფორმაციისა, რომ ამერიკაშიაც არ არის ყველაფერი ისე, როგორც წარმოგვედგინა. მილტონ ფრიდმანი მკაცრად აკრიტიკებს შეერთებული შტატების სამთავრობო პოლიტიკას და ამ კრიტიკის ფონზე ერთი რამ ხდება ნათელი: გასული საუკუნის პირველი ნახევრის ამერიკა, ის ამერიკა არ აღმოჩნდა, რომელიც ჩვენ წარმოგვედგინა. რად ღირს, თუნდაც იმგვარი პოლიტიკური გადაწყვეტილებანი, რომლებიც ოქროს მიმოქცევის აკრძალვას, დაფიქსირებულ ვალუტის კურსს (თავი 4), სკოლების სეგრეგაციას (თავი 7), პროფკავშირების დაცვის კანონმდებლობას (თავი 8), ლიცენზირებას (თავი 9), ან სახელმწიფოს სხვა პოლიტიკურ ლაფსუსებს შეეხება. ერთი რამ შეგვიძლია დავასკვნათ: შეერთებული შტატებიც ისევე შეცდომისა და ექსპერიმენტის გზით მიდიოდა დღევანდელი მდგომარეობისაკენ, როგორც სხვა ქვეყნები, თუმცაღა შეერთებულმა შტატებმა ბევრად მეტს მიაღწია ამ გზაზე, ვიდრე ნებისმიერმა სხვა ქვეყანამ. იგი, უბრალოდ, სწორი მიმართულებით მოძრაობდა, ბევრი სხვა

ქვეყნისაგან განსხვავებით, რომლებიც მკითხველისათვის შინაური მაგალითითაც ცნობილია და რომელთა ჩამოთვლითაც თავს არავის შევაწყენთ.

მილტონ ფრიდმანის წინამდებარე ნაწარმოებისა და მთელი მისი მოღვაწეობის არსი შეგვიძლია მოკლედ გამოვთქვათ შემდეგი ფრაზით: რაც შეიძლება ნაკლები სახელმწიფო და რაც შეიძლება მეტი თავისუფლება, რა სფეროსაც არ უნდა ეხებოდეს ეს. რასაკვირველია, დასავლეთის საზოგადოებაში, სადაც მიიჩნევა, რომ სიტყვის, სინდისის, ქონების და სხვა პირადი და კერძო თავისუფლებანი მეტ-ნაკლებად დაცულია, ფრიდმანი ყურადღებას ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებაზე ამახვილებს. იგი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება, ადამიანური და ადამიანის არსებობის უშუალო პირობაა და ეს თავისუფლება, ან უფლება მას უნდა ჰქონდეს. სწორედ ეკონომიკური თავისუფლების ხარჯზე, ადამიანები აკეთებენ, აწარმოებენ, ჰყიდიან რასმე, ან უწევენ ერთმანეთს სამსახურს, რითაც საზოგადოების ოპტიმალური მდგომარეობა და სწორი, გამართლებული, ადამიანის ღირსი წყობა მიიღწევა.

მილტონ ფრიდმანი მიიჩნევს, რომ თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა ის ღერძია, რომელის მეშვეობითაც და რომლის გარშემოც ბრუნავს ადამიანთა სამყარო. სახელმწიფოს აუცილებლობა, არ წარმოიქმნება იმ ფაქტიდან, რომ სახელმწიფო თავის მოქალაქეებს თრგუნავს; ამ შემთხვევაში მას ძნელად თუ განვასხვავებთ მაფიოზური დაჯგუფებისაგან. სახელმწიფოს არსი და მისი არსებობის გამართლება იმაშია, რომ მან ადამიანთა თავისუფლება დაიცვას და არა სისხლის (და ფულის) მწოველ წურბელად დააწვეს მათ კისერზე. სახელმწიფო მოწოდებულია დაიცვას ადამიანის თავისუფლებანი, როდესაც მათ შეზღუდვა, შეკვეცა, განადგურება ემუქრება. ერთის მხრივ, ეკონომიკა სრულიად თავის ნებაზე რომ მიუშვავთ, წარმოიქმნებოდა მონოპოლიები, კარტელები, ტრესტები, გაერთიანებები, რომლებიც თავისი ეკონომიკური ძლიერების გამოყენებით აიძულებდნენ საზოგადოებას დამორჩილებოდნენ მას და საკუთარ ყმებად გადააქცევდნენ თავისუფლად დაბადებულ ადამიანებს. მეორეს მხრივ, როდესაც საზოგადოება თავდაცვის მიზნით სახელმწიფოს ჰქმნის, ეს სახელმწიფო თვითვე ხდება მონოპოლისტი და ადამიანთა თავისუფლების შეზღუდვის წყარო, როგორც ევგენი შვარცის ერთ-ერთ ზღაპარშია: გმირი კი განგმირავს ურჩხულს, რომელიც სოფელს აწუხებს, მაგრამ მალევე თვით იქცევა ურჩხულად და უფრო მეტად აწუხებს სოფელს, ვიდრე განგმირული ურჩხული სჩადიოდა ამას.

ასევეა სახელმწიფოც: მისი როლი ურჩხულის განგმირვა არის, რომელიც ადამიანთა თავისუფლებას ზღუდავს და პარაზიტივით სისხლსა სწოვს მათ. სინამდვილეში, მეოცე საუკუნის სახელმწიფოები (ისევე, როგორც ბევრი აღრინდელი), სისხლის მწოველ პარაზიტებად გადაიქცნენ, განუსხვავებლად იმისა, თუ რომელ წყობას ეხება საქმე. ამგვარი ურჩხულისა და სისხლისმწოველის უპირველესი მაგალითი ტოტალიტარული რეჟიმები არის, სადაც თვით სახელმწიფო გვევლინება შეუზღუდავ მონოპოლისტად და გადარეული ბებერი დიქტატორის ხუმტურზე იმგვარ საქმეებს სჩადის, რომ ადამიანებს თავისუფლების ნატამალიც კი არ რჩებათ.

მეორე უკიდურესობას საერთაშორისო ზეეროვნული მონოპოლიების დიქტატურა წარმოადგენს, რომელიც კაპიტალიტურ საზოგადოებაში წარმოიქმნება და ცალკეულ სახელმწიფოებს კარნახობს, თუ რა უნდა მოიმოქმედონ მათ. ამ შემთხვევაში, მართალია სიტყვის, სინდისისა და საქმიანობის პირობითი თავისუფლება დაცულია, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში, გარკვეულ ზღვრამდე. ამ ზღვარის გადალახვის მცდელობა, ადამიანებისათვის, დიდ რისკთან არის დაკავშირებული. თუკი კომუნისტურ, ან ფაშისტურ საზოგადოებაში, ადამიანთა ქცევას, სამთავრობო მექანიზმი აკონტროლებს, კაპიტალიტურ საზოგადოებაში, ამ მაკონტროლებელ ინსტანციად, არა სახელმწიფო, არამედ კაპიტალის ცენტრები გვევლინება. ეს ცენტრები საერთაშორისო კორპორაციებია და მათ ხელში უზომო ძალაუფლებაა კონცენტრირებული. ნაძლადვე, თავს მოხვეული რეკლამიდან დაწყებული, დამთავრებული მოსყიდვით, იარაღის კეფაზე მიბჭენითა და მკვლევლობებით, მათ მიერ, ყველა საშუალება გამოიყენება საზოგადოების მანიპულირებისათვის. ისინი ფლობენ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს, მათ გავლენა აქვთ სასამართლოებსა და სახელმწიფო დაწესებულებებზე, ბაზრებზე კი მათ გარეშე, არაფერი ხდება. კაცი ვერაფერს იტყვი, ვერაფერს დაწერ, ვერაფერს მოიმოქმედებ, რაც რეალურად შელახავს მათ მდგომარეობას. მე სიტყვა რეალურს ვუსვამ ხაზს, რადგანაც, მოჩვენებითი კრიტიკა ამ კორპორაციას არაფერს ავნებს. სანამ ძალლი ყვეს, ქარავანი მიდის. ძალლი თუ კბენას დაიწყებს, მას ჯერ ძვალს გადაუგდებენ, მერე ხორცის მოზრდილ ნაჭერს და თუ კიდევ გააგრძელა ღრენა, ტყვიას მიახლიან, ან ისეთ წიხლს უთავაზებენ, რომ კარგა ხანს ვერ მოვა აზრზე. ეს, თავისი არსით, კომუნისტების დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს ჩამოჰგავს: თუ გნებავთ ილაპარაკეთ, გადაწყვეტილებას კი მაინც მაღლა, ზემოთ მიიღებენ, იქ სადაც საჭიროა.

დღევანდელი კაპიტალისტური საზოგადოება, ამ თვალსაზრისით, სწორედ იმით განსხვავდება სტალინური ტიპის დიქტატურისაგან, რომ აქ, ტრაგედიის ძირითად მოქმედ პირებად, არა სახელმწიფო და მოქალაქე გვევლინება, არამედ კორპორაცია და პიროვნება. ფრიდმანისათვის ერთიცა და მეორე დიქტატურაც მიუღებელია. რატომღაც მიიჩნევა, რომ ლიბერალური აზრი, ეკონომიკის დიქტატს მიიჩნევს გამართლებულად და სახელმწიფოს ებრძვის. ეს მხოლოდ სანახევროდ არის ჭეშმარიტი. ლიბერალიზმი ებრძვის ადამიანის თავისუფლების ყოველგვარ შეზღუდვას, იქნება ეს სახელმწიფოსა, თუ კორპორაციის, განსაკუთრებით კი ზეეროვნული გაერთიანების მხრიდან. ლიბერალისათვის სულერთია, ადამიანის თავისუფლებას მგელი შეჭამს თუ მგლისფერი ძალლი, მისთვის სახელმწიფოც ისეთივე ბოროტებაა, როგორც ეკონომიკაზე დაფუძნებული მონოპოლია და ზეეროვნული კორპორაციაც ისეთივე ბოროტებაა, როგორც ნებისმიერი, ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ გამოგონილი, ადამიანთა მეორე ჯგუფის დასათრგუნავი გაერთიანება. როდესაც კარლ მარქსი ამ ყველა ბოროტებათა შორის უმცირესს ეძიებდა, მან დაასკვნა, რომ ასეთი რამ პროლეტარიატზე, მშრომელთა კლასზე დაფუძნებული დიქტატურა შეიძლებოდა ყოფილიყო. პრაქტიკამ მარქსის ეს აღმოჩენა არ დაადასტურა: პროლეტარიატის დიქტატურა ისეთივე უხიავი, ძალმომრევი და პირსისხლიანი აღმოჩნდა, როგორც ნებისმიერი სხვა დიქტატურა. მან თავის მშობელ პროლეტარიატსაც კი არ მისცა იმდენი, რასაც კაპიტალისტს,

კაპიტალზე დაფუძნებული მონოპოლია, ან ბიუროკრატსა და მოხელეს, სახელმწიფო მონოპოლია აძლევს. საბოლოო ჯამში, საკითხი ვერ დაიყვანება კლასობრივი ბრძოლის ელემენტზე, რომელიც მარქსის ფილოსოფიური მოძღვრების ერთ-ერთ ძირითად ღერძს შეადგენს. არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი კლასი იგდებს ხელში ძალაუფლებას. თუკი ძალაუფლება საერთოდ ხვდება ერთი რომელიმე დაჯგუფების ხელში, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იგი ბოროტად მოიხმარება.

ამ დილემიდან თავის დაღწევის ფრიდმანისეული, ანდა უფრო ფართოდ თუ განვიხილავთ, ლიბერალური მცდელობა ის არის, რომ საერთოდ ვთქვათ უარი ძალაუფლების კონცენტრაციაზე, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი. ადამიანთ «ვერც მეფე, ვერც ღმერთი, ვერც გმირი» და ვერც ვინმე სხვა უშველის, თუ მან არ უშველა საკუთარ თავს. საკუთარი თავის შველა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ დავიცვათ და შევინარჩუნოთ ინდივიდუალური თავისუფლება. კანონისა და წესრიგის საშუალებით დავთრგუნოთ ძალაუფლების ნებისმიერი კონცენტრაცია და მისი ბოროტად გამოყენება. ამის შედეგად მიღებული საზოგადოება არ იქნება სოციალური თანაწილობის საზოგადოება. აქ იარსებებენ ძალიან ღარიბები, ღარიბები, საშუალო შემოსავლის, მაღალი შემოსავლის მქონენი და ძალიან მდიდრები. მაგრამ არავის ექნება საშუალება, თუ არა საზოგადოებაში შეტანილი საკუთარი წვლილისა გამო, სხვა გზებით და ნიშნით მიიღოს ხეირი და სარგებელი. ფრიდმანს მიაჩნია, რომ სწორედ ეს უთანასწორობა იწვევს საერთო თანასწორობას.

ამ საქმეში, უმთავრესი, პიროვნების მიერ გამოვლენილი უნარებია. ადამიანი მიიღებს იმდენს, რამდენიც მის უნარს შეესაბამება. ამიტომაც მცდარია ლიბერალური აზრის გაიგივება ე.წ. დარვინიტულ კაპიტალიზმთან. ლიბერალი, მიუხედავად იმისა, მას სახელმწიფო ბოროტებად ეჩვენება, რადგანაც ეს უკანასკნელი, თავისუფლების დამთრგუნავ აპარატს წარმოადგენს, მაინც მიიჩნევს, რომ დღევანდელ პირობებში სახელმწიფოს გარეშე ვერ გავალთ ფონს. სახელმწიფო აუცილებელი ბოროტებაა. ამავე დროს, უნდა ვეცადოთ, რომ მისი გავლენა მხოლოდ იქ იგრძნობოდეს, სადაც ეს აუცილებელი და საჭიროა: ჩვენი თავისუფლების, სიცოცხლის, საქმიანობის დაცვის სფეროში და არა ყველგან, სადაც მას საქმე არაფერი აქვს.